ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №11

ქ. თბილისი 5 მაისი, 2016

სსიპ – თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, **ნიკოლოზ ხორბალაძის** სახით, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების თანახმად და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2006 წლის 11 ივნისის №15/1914/9-6 საფუძველზე, შემდგომში **"შემსრულებელი"**, ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ, სსიპ. ქ. სოხუმის დ. არაყიშვილის სახ. სამუსიკო სასწავლებელი (ს/კ249255345) დირექტორის **დათო ოკუჯავას** სახით, შემდგომში **"დამკვეთი"**, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. **"შემსრულებელი"** 2016 წლის 20 მაისს (1 დღე), სარგებლობაში გადასცემს **"დამკვეთს"** კონსერვატორიის დიდ დარბაზს კონცერტის გასამართად.

1.2. **"დამკვეთი"** გადაუხდის **"შემსრულებელს"** ღონისძიების (კონცერტის) საორგანიზაციო ხარჯებისათვის **3000 ლარს (სამი ათასი),** უნაღდო ან ნაღდი ანგარიშსწორებით.

1.2.

1.3. კლასიფიკატორის კოდი - 79952100 კულტურული ღონისძიების ორგანიზება.

2. მხარეთა უფლება მოვალეობანი

2.1 **"შემსრულებელი"** ვალდებულია:
უზრუნველყოს ღონისძიების (კონცერტის) მოწყობასთან დაკავშირებული ისეთი ორგანიზაციული საკითხების მოგვარება, როგორიცაა:

ა. კონცერტის აფიშების დამზადება.
ბ. ღონისძიებაზე (კონცერტებზე) დამსწრე საზოგადოების მომსახურება.

2.2 "დამკვეთი" ვალდებულია:

ა. დროულად მიაწოდოს ღონისძიების (კონცერტების) ჩასატარებლად აუცილებელი ინფორმაცია;
ბ. გამოიყენოს ქონება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნით და გაუფრთხილდეს მას, ნებისმიერი სახის დაზიანების შემთხვევაში აანაზღაუროს ზიანი;
გ. გადაუხადოს "შემსრულებელს" 3000 ლარი (სამი ათასი) 2016 წლის 6 ივნისამდე.

3. ზოგადი დებულებები

3.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

3.2 ყველა სადაო საკითხი გადაწყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

4. მხარეთა იურიდიული მისამართები და ხელმოწერები

შემსრულებელი	**დამკვეთი**
სსიპ თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია	**სოხუმის დ. არაყიშვილის სახ. სამუსიკო სასწავლებელი**
მისამართი: თბილისი, 0108, ალ. გრიბოედოვის ქ. №8-10 ტელ: 29991444 **საბანკო რეკვიზიტები:** ხაზინის ერთიანი ანგარიში კოდი **TRESGE22** სახაზინო კოდი **708907019**	(ს/კ249255345) **საბანკო რეკვიზიტები:** ხაზინის ერთიანი ანგარიში: კოდი TRESGE22 სახაზინო კოდი: 708867519
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ნიკოლოზ ხორბალაძე** /......./	დირექტორი **დათო ოკუჯავა** /......./